სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “ჯი აი სი”

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	i
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	ii-V
სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულის მოძრაობის ანგარიშგება	4
განმარტებითი შენიშვნები	5-45

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ათწილადის სიმბოლოა წერტილი (,, .“),რიცხვის თანრიგების გაყოფის სიმბოლოა მძიმე (,, , „)

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯი აი სი"-ს (შემდგომში - „მისო") ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში მისოს ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯნვის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს მისოს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან, წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში მისოს ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- მისოში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს მისოს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ მისოს ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- მისოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 4 ივნისს.

ვახტანგ მაღრაძე დირექტორი	ციური თურმანიძე ბუღალტერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯი აი სი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯი აი სი“-ს („მისო“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს მისოს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“* ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) *„პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“* ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად „სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიში მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა

გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშზე.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე რომელიც წარმოდგენილია აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად.. ზემოთხსენებული კანონის მიხედვით მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

- სუბიექტის განვითარების გეგმები;
- სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა;
- სუბიექტის ფილიალების საქმიანობა;
- სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ;
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ მოკლე ინფორმაცია;
- ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნების და პოლიტიკა;
- საჭიროების შემთხვევაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მყოფი სხვა ინფორმაცია

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობით ანგარიშთან („სხვა ინფორმაცია“) დაკავშირებით. ჩვენი როგორც აუდიტორების პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ:

- გავეცნოთ *სხვა ინფორმაციას* და შევაფასოთ რამდენად არსებითად თანმიმდევრულია *სხვა ინფორმაცია* 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლით წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და

- წარმოდგენილია თუ არა მმართველობით ანგარიშში ყველა ის ინფორმაცია რაც განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამსიად.

სხვა გარემოებათა აბზაცი

„ბუღალტური აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯი-აი-სი“-მ მოამზადა მმართველობითი ანგარიში, რომელიც წარმოდგენილია ამ ფინანსურ ანგარიშგებებთან ერთად. ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად არ გამოვლენილა არსებითი ცდომილება და მართველობითი ანგარიში მომზადებულია მენეჯმენტის მიერ და განხილულია აუდიტორის მიერ ამ აუდიტორული დასკვნის ზემოთ მოცემულ „აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით“ აბზაცის შესაბამისად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს მისოს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ

შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან მისოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა მისოს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის

თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება მისო უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ ორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

4 ივნისი 2019

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		2018	**2017**
	შენიშვნა	**ლარი**	**ლარი**
საპროცენტო შემოსავალი	5	938,239	1,026,561
საპროცენტო ხარჯი	5	(15,969)	(20,460)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**922,270**	**1,006,101**
სესხების გაუფასურების ანარიცხი	12,14	(148,517)	114,342
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების გაუფასურების ანარიცხის შემდეგ		**773,753**	**1,120,443**
წმინდა საკომისიო შემოსავალები	6	45,555	42,722
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(556,912)	(648,244)
წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	8	(100,979)	(196,901)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9	151,167	142,487
მოგება დაბეგვრამდე		**312,584**	**460,507**
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(26,136)	(53,291)
წლის მოგება		**286,448**	**407,216**
სხვა სრული შემოსავალი		**-**	-
სხვა სრული შემოსავლები წლის განმავლობაში		**286,448**	**407,216**
შემოსავალი ერთ აქციაზე	21	11	16

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 4 ივნისს

ვახტანგ მაღრაძე — დირექტორი _____

ციური თურმანიძე — ბუღალტერი _____

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2018	2017
	შენიშვნა	**ლარი**	**ლარი**
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	28,441	35,005
საინვესტიციო ქონება	12	284,806	320,020
არამატერიალური აქტივები	13	50,673	29,154
გაცემული სესხები	14	3,597,382	3,499,593
ფული და ფულის ექვივალენტები	15	304,830	722,095
მოგების გადასახადის აქტივი	19	8,654	1,769
სხვა აქტივები	21	17,170	62,129
სულ აქტივები		**4,291,956**	**4,669,765**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	16	2,497,100	2,497,100
საემისიო კაპიტალი	16	676,818	676,818
გაუნაწილებელი მოგება	16	975,885	1,313,677
სულ კაპიტალი		**4,149,803**	**4,487,595**
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	17	96,250	152,940
სხვა ვალდებულებები	20	45,903	29,230
სულ ვალდებულებები		**142,153**	**182,170**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**4,291,956**	**4,669,765**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 4 ივნისს

ვახტანგ მაღრაძე — დირექტორი _____

ციური თურმანიძე — ბუღალტერი _____

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	კაპიტალი აქციებიდან	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
		ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისთვის	**16**	**2,497,100**	**676,818**	**1,835,000**	**5,008,918**
წლის მოგება		-	-	407,216	407,216
გადახდილი დივიდენდები		-	-	(928,539)	(928,539)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	**16**	**2,497,100**	**676,818**	**1,313,677**	**4,487,595**
ფასს 9-ის დანერგვით გამოწვეული ცვლილება (გადასახადის გამოკლებით)	**3**			(96,107)	(96,107)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის კორექტირების შემდეგ		-	-	**1,217,570**	**4,391,488**
წლის მოგება		-	-	286,448	286,448
გადახდილი დივიდენდები		-	-	(528,133)	(528,133)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**16**	**2,497,100**	**676,818**	**975,885**	**4,149,803**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 4 ივნისს

ვახტანგ მაღრაძე — დირექტორი _____

ციური თურმანიძე — ბუღალტერი _____

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		2018	2017
	შენიშვნა	ლარი	ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		312,584	460,507
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი (ფასს 9)	2	(96,107)	-
კორექტირებები:			
გაუფასურების ანარიცხი	12,14	148,517	(114,342)
ცვეთა და ამორტიზაცია	7	17,429	29,571
კურსთაშორის სხვაობის წმინდა ზარალი	8	100,979	196,901
საპროცენტო ხარჯი	5	15,969	20,460
საპროცენტო შემოსავალი	5	(938,293)	(1,026,561)
ფულ. ნაკ. საოპ. საქმ. საოპ. აქტ. და ვალდ. ცვლილებებამდე		**(438,868)**	**(433,465)**
საოპერაციო აქტივების (ზრდა)/კლება:			
მიღებული სესხები	17	(56,690)	(129,752)
გაცემული სესხები	14	(748,587)	534,477
სხვა აქტივები	21	32,947	(23,667)
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა/(კლება):			
სხვა ვალდებულებები	20	16,968	3,894
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		**(1,194,230)**	**(48,513)**
გადახდილი მოგების გადასახადი	10	(26,136)	(53,291)
მიღებული პროცენტები	5	1,385,585	1,006,910
გადახდილი პროცენტი	5	(15,969)	(20,460)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		**149,250**	**884,647**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	11	-	(1,483)
საინვესტიციო ქონების შეძენა	12	-	(86,465)
საინვესტიციო ქონების გაყიდვა	12	14,917	54,874
არამატერიალურ აქტივების შეძენა	13	(30,453)	-
საინვესტიციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		**(15,536)**	**(33,074)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი	16	(528,133)	(928,539)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		**(528,133)**	**(928,539)**
ფული და ფულის ექვივალენტები			
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულზე და ფულის ექვივალენტებზე	8	(22,846)	(30,155)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმ. ზრდა/(კლება)		**(417,265)**	**(107,121)**
1 იანვრის მდგომარეობით	15	**722,095**	**829,216**
31 დეკემბრის მდგომარეობით	15	**304,830**	**722,095**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 4 ივნისს

ვახტანგ მაღრაძე — დირექტორი _____

ციური თურმანიძე — ბუღალტერი _____

1. ანგარიშის წარმდგენი პირი

ზოგადი ინფორმაცია

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯი აი სი“ („მისო“) იურიდიულ პირად რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით 204470740 და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (დაფუძნდა 2009 წლის 2 ოქტომბერს). მისოს ძირითადი საქმიანობა არის უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სესხების გაცემა.

2009 წლის 2 ოქტომბერს სს „პირველი ბრიტანული კომპანიის“ ფუნქციონირების შეწყვეტის შედეგად შეიქმნა მისო „ჯი აი სი“. მისოს სააქციო კაპიტალად განისაზღვრა 2,465,100 ლარის ღირებულების 24,651 ცალი ჩვეულებრივი აქცია საემისიო კაპიტალით 676,818 ლარის ოდენობით, რომელიც მასზე მიკუთვნებულ იქნა სს „პირველი ბრიტანული კომპანიის“ ფუნქციონირების შეწყვეტამდე არსებული კაპიტალიდან. 2015 წლის 1 იანვრამდე ასევე მოხდა დამატებით 320 აქციის ემისია 32,000 ლარის ნომინალური ღირებულებით რამაც ჯამში შეადგინა 24,971 აქცია ნომინალური ღირებულებით 2,497,100 ლარი.

მისოში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 12 თანამშრომელი (2017: 12)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დამფუძნებელ პარტნიორთა შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ანასტასია თავხელიძე	33 %	33 %
ელისაბედ ამირეჯიბი	33 %	33 %
ალექსანდრე ამირეჯიბი	34 %	34 %
	100 %	100 %

2. საქართველოს ბიზნეს გარემო

მისო მთავარ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველო კვლავ აჩვენებს კონკრეტულ დამოკიდებულებას განვითარებად, ზრდად ბაზარზე. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა განიცდის სხვადასხვა სახის განმარტებების ზეგავლენას და ხელს უწყობს საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების წინაშე მდგომი გამოწვევების წარმოქმნას.

საქართველოს შემდგომი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნევლოვნად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობაზე საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ შედეგებთან ერთად.

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არსებულ გარემოებებში იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა უზრუნველყოს მისოს საქმიანობის მდგრადობა და განვითარება.

3. ანგარიშგების მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა

3.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. მისოს მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

მისო სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. მისო მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, მისო იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, მისო ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით.

- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1 -ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

3.2 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ დანერგილ იქნა ფასს 9 რომელიც გამოიცა 2014 წლის ივლისში IASB-ის მიერ. სტანდარტის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 1 იანვარი, რომელმაც გამოიწვია მისოს პოლიტიკის ცვლილება და გააჩინა წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების კორექტირების საჭროება. მისოს მიერ არ მომხდარა სტანდარტის ადრეული დანერგვა გასული პერიოდების განმავლობაში.

ფასს 9-ის მიერ დაშვებული პრინციპის შესაბამისად მენეჯმენტის გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა მიდგომა არ მომხდარიყო მისოს შესადრისი მონაცემების კორექტირება და ფინანსური ანგარიშგებების თავიდან გამოშვება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყველა კორექტირება რომელიც გამოწყვეული სტანდარტის მოთხოვნების ცვლილებით აისახა მისოს საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე.

შესაბამისად, ცვლილებები განმარტებით შენიშვნებში ფასს 7 ის მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგენილია მიმდინარე პერიოდის განმარტებით შენიშვნებში. შესადრისი პერიოდის განმარტებითი შენიშვნები წარმოდგენილია და იმეორებს გასული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებში ასახულ ინფორმაციას.

ფასს 9-ის დანერგვას გავლენა აქვს მიმდინარე პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკაზე კლასიფიცირებასა და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების განსაზღვრაზე ისევე როგორც ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხებზე. ფასს 9 ასევე მნიშვნელოვნად ცვლის სხვა სტანდარტებს როგირიცაა ფასს 7 – „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს

მენეჯმენტმა წარმოადგინა განამრტებითი შენიშვნები რომლებიც უკავშირდება მისოს მიერ ფასს 9-ის დანერგვას. დეტალური ინფორმაცია ფასს 9-ის გავლენის შესახებ (ისევე როგორც ბასს 39 ის მოთხოვნების შესაბამისი პოლიტიკა) მიმდინარე პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკაზე წარმოდგენილია ქვემოთ

ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კატეგორიისა და საბალანსო მაჩვენებლის ცვლილების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

საბალანსო მუხლი	**საზომი კატ. ბასს 39-ის მიხ.**	**საზომი კატ. ფასს 9-ის მიხედვით**	**საბ. ღირ. ბასს 39-ის მიხ.**	**საბ. ღირ. ფასს 9-ის მიხ. 1.1.2018**
გაცემული სესხები	ამორტ. ღირ.	ამორტ. ღირ.	3,499,593	3,403,486
ფული და ფულის ექვივალენტები	ამორტ. ღირ.	ამორტ. ღირ.	722,095	722,095
მიღბული სესხები	ამორტ. ღირ.	ამორტ. ღირ.	152,940	152,940
სხვა ვალდებულებები	ამორტ. ღირ.	ამორტ. ღირ.	29,230	29,230

ახალი ფასს 9 - ის შედეგად აქტივების შეფასების კატეგორია არ შეცვლილა, ფინანსური აქტივები როგორც ძველი, ასევე ახალი სტანდარტით შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, თუმცა განსხვავება გამოწვეულია ფინანსური აქტივების გაუფასურების შეფასებაში. განახლებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ახალი მოთხოვნები იყენებს "მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ("მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ") მოდელს გაუფასურების ანარიცხის შექმნისთვის, მაშინ როდესაც ძველი სტანდარტი ბასს 39 გაუფასურების ანარიცხის შეფასებისას მსგავსი შეფასების მოდელი არ იყო რელევანტური და მისო გაუფასურების ანარიცხს ქმნიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც იყო ამის ობიექტური მტკიცებულება.

ბ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ ჩაატარა ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელისა და ფულადი სახსრების მახასიათებლების დეტალური ანალიზი იხილეთ ქვემოთ 3.2 მუხლში.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილების შესახებ ბასს 39 ისა და ფასს 9-ის კატეგორიების მიხედვით რომელიც დაინერგა 2018 წლის 1 იანვრიდან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილების შესახებ რომელიც გამოწვეულია ფასს 9 ის დანერგვითა და ბასს 39-ის შეცვლით 2018 წლის 1 იანვრისთვის:

	საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით 1.1.2018 მდგომარეობით	**რეკლასიფ.**	**კორექტირება**	**საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით 1.1.2018 მდგომარეობით**
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	722,095	-	-	722,095
გაცემული სესხები გადაფასებამდე	3,499,593	-	(96,107)	**3,403,486**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	152,940	-	-	152,940
სხვა ვალდებულებები	29,230	-	-	29,230

გ) ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია ფასს 9 -ის დანერგვით გამოწვეული ცვლილების შესახებ სესხის გაუფასურების ანრიცხებში:

	საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით 1.1.2018 მდგომარეობით	**რეკლასიფ.**	**კორექტირება**	**საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით 1.1.2018 მდგომარეობით**
გაცემული სესხები				
სესხის გაუფასურების ანარიცხები	401,917	-	96,107	**498,024**

როგორც ზემოთ წარმოდგენილ ცხრილებშია ნაჩვენები ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად განისაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საზომი კატეგორიები და მოხდა მათი კლასიფიცირება მანამდე არსებულ კატეგორიაში, თუმცა განსხვავებულად იქნა გამოანგარიშებული გაუფასურების ანარიცხი, ანარიცხების შექმნა მოხდა ახალი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და გამოყენებულ იქნა „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის“ მოდელი.

ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა და დაინერგა ფასს 15 რომელიც გამოიცა 2014 წლის მაისში. სტანდარტი ითვალისწინებს შემოსავლის აღიარების ერთიან მოდელს. სტანდარტის ძირითად პრინციპს წარმოადგენს მიდგომა რომ საწარმომ დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემის ასახვისას, ამონაგები უნდა აღიაროს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. სტანდარტი ადგენს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით შემოსავლის აღიარების მოდელს რომელიც ითვალისწინებს შემოსავლის განსაზღვრას ტრანზაქციის ღირებულების პროპორციულად. სტანდარტის შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. საკრედიტო რისკი წარმოდგენილია განცალკევებულად როგორც ხარჯი ნაცვლად იმისა რომ დაკორექტირებულიყო შემოსავალი. მომხმარებელთან გაფრომებული ხელშეკრულებები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო ვალდებულებები, საკონტრაქტო აქტივები ან მოთხოვნები, კლასიფიკაცია დამოკიდებულია კომპანიის მხდირან საკონტრაქტო მოთხოვნების შესრულებასა და მომხმარებლის მხრიდან საზღაურის გადახდასთან. მომხმარებლის მოზიდვასთან დაკავშირებული ხარჯები ისევე როგორც კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯიბი ექვემდებარება განცალკევებული კრიტერიუმით წარმოდგენას და კაპიტალიზირდება როგორც აქტივი რომელიც ამორტიზირდება კონტრაქტის მოქმედების განმავლობაში.

ფასს 15-ის ამოქმედებას არ მოუხდენია არსებითი გავლენა მისოს ოპერაციებზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

მისოს არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები მისოს ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. მისომ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ფასს 16 *იჯარა* (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნალკები და დაბალ-ღიებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. დირექტორების აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს მისო, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

3.2. სააღრიცხო პოლიტიკა

ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზირებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს სესხის ძირი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს დაგროვილი ამორტიზაცია, თავდაპირველ ღირებულებასა და დასაფარ ღირებულებას შორის სხვაობის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი და მინუს (პირდაპირ, ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით)

გაუფასურების ზარალი, ან თანხის ამოუღებლობით (უიმედო ვალით) წარმოქმნილი ნებისმიერი დანაკარგები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო ზარალი. გაანგარიშება მოიცავს ყველა საზღაურსა და გადახდილ ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნომინალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ყველა სხვა პრემიასა და ფასდათმობას. არსებობს ვარაუდი, რომ მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის მოსალოდნელი ვადა და ფულადი ნაკადები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

როდესაც მისოს მიერ ხდება მომავალი ფულადი ნაკადების გადახედვა შესაბამისი ფინანსური აქტივი ან ვალდებულების კორექტირდება რათა აისახოს ცვლილებები. მისოს მიერ ნებისმიერი ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალში.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო ამონაგები საწარმომ უნდა გამოითვალოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. საწარმომ ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას უნდა განსაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში

ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, არამედ შემდგომში გახდა საკრედიტო რისკის გავლენით გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამგვარი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საწარმომ, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარება

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ბაზრის სტანდარტული პირობებით ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვისას ფინანსური აქტივების აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით, შესაბამისად.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისათვის მისო ფინანსური აქტივის აღიარებისთანავე, აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ანარიცხს მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანაგრიშგებაში.

თუ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან ორგანიზაცი ფინანსური ინსტრუმენტებს ამ თარიღისთვის აღრიცხავს შემდეგნაირად:

ა) თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი პირველი დონის ამოსავალი მონაცემი), ან ეყრდნობა შეფასების ისეთ მეთოდს, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემები. ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში რეალური ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის თანხის გადავადების გზით

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება ისეთი ფაქტორის ცვლილებით (დროის ფაქტორის ჩათვლით), რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას

ფინანსური აქტივები

ა) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

2018 წლის 1 იანვრიდან მისომ დანერგა ფასს 9 და შესაბამისად მოახდინა ფინანსური აქტივების კლასიფიცირება შემდგომ შეფასებით კატეგორიებში:

- *შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით*
- *შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან*
- *შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული*

სტანდარტის მოთხოვნები კლასიფიკაციისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

სავალო ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი რომელიც შეესაბამება განმარტებას რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას, სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

ა) *ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის და*

ბ) *ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები*

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით მისო აქდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

- ამორტიზირებული ღირებულება: ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით: ფინანსური აქტივი რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება ექვითიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
- რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით: აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

წილობრივი ინსტრუმენტებიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღირცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში.

გაუფასურება

ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს:

- მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;
- ფულის დროით ღირებულებას; და
- გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღირარების შეწყვეტა ხდება მაშინ როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესახ ხედება შემდეი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი: 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არა ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიანიჭოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა.

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა.

აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის მისოს აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ მისო შეასრულებს მას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე მოქმედი განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მათი დადგომის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

მისოს ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია მისოს ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები (მაგ: გასაყიდად არსებული წილობრივი ინსტრუმენტები) კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი სტერლინგი
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6766	3.0701	3.3955
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.5922	3.1044	3.5005
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.5345	2.9913	3.3812
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.5095	2.8322	3.2315

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებას მინუს დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მისი მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემცირებული ნაშთის მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობები	5%
კომპიუტერული ტექნიკა	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20%
სხვა ძირითადი საშუალებები	20%

ის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც მისო ახლა მიიღებდა აქტივის გასვლიდან, აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ აქტივი იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება უდრის ნულს იმ შემთხვევაში, თუ მისო აპირებს ობიექტის გამოყენებას მისი გამოყენების ფიზიკური ვადის დასრულებამდე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საიჯარო აქტივები

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, თუ მოიჯარეს გადაეცემა მესაკუთრეობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერციო იჯარის შემთხვევაში, გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარის აღებასთან დაკავშირებით მიღებული წახალისება აღირიცხება როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება, წრფივი მეთოდით, საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს.

მისოს არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს კაპიტალიზირებულ კომპიუტერულ პროგრამებს.

შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენაზე და სასარგებლო მდგომარეობაში მოყვანაზე გაწეული ხარჯების საფუძველზე. განვითარების ხარჯები, რომელიც უშუალოდ უკავშირდება იდენტიფიცირებულ და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელსაც მისო აკონტროლებს, აისახება არამატერიალურ

აქტივად, თუ ითვლება, რომ მათთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ჯამი აღემატება ხარჯებს. კაპიტალიზირებული დანახარჯები მოიცავს პროგრამული განვითარების გუნდის საშტატო დანახარჯებს და ზედნადები ხარჯების შესაბამის ნაწილს.

კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა ყველა ხარჯი, მაგალითად მათი ტექნიკური მომსახურება, აღირიცხება ამგვარი ხარჯების გაღებისას.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემცირებული ნაშთის მეთოდით, გამოყენებით 15%-იანი ამორტიზაციის ნორმით.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებისთვის შემოწმებას, როგორც ეს დადგენილია ქვემოთ.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მისო-ს მფლობელობაში არსებული ქონება საიჯარო შემოსავლის მიღების ან კაპიტალის ზრდის მიზნით, ან ორივე ერთად, და რომელიც არ აქვს დაკავებული მისო-ს. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, რაც გარიგების დანახარჯებსაც მოიცავს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. საინვესტიციო ქონებას ცვეთა ერიცხება შემცირებული ნაშთის მეთოდის გამოყენებით მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადაში, რომელიც 20 წელს შეადგენს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შემოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის, იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

გამოყენების ღირებულება არის აქტივის/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მომავალში გამოყენების შედეგად მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულება გამოითვლება დაბეგვრამდე დისკონტირებული განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან/ფულადი სახსრების წარმომქმბელი ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება

მიუხედავად იმისა, არის თუ არა გაუფასურების ნიშნები, ყოველწლიურად, ან უფრო ხშირად ხდება ასეთი აქტივების გაუფასურებაზე შემოწმება, თუ მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიუთითებს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გაუფასურებას.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, რადგან ის დაკავშირებულია იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ტრანზაქციებთან.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის დასაბეგრ მოგებასთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშები ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი წარმოდგენილია საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გადატანასთან და დროებით სხვაობებთან მიმართებაში, რომელიც წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ მისოს აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.
დამატებითი ხარჯები, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ახალი აქციების გამოშვებასთან, აისახება კაპიტალში უარყოფითი ნიშნით, გადასახადების გამოკლებით. დადებითი სხვაობა გამოშვებული აქციის სანაცვლოდ მიღებული თანხის სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღირიცხება როგორც საემისიო შემოსავალი.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შემოსავალი ერთ აქციაზე

პრივილეგირებული აქცეიები არ ექვემდებარება აუცილებელ გამოსყიდვას და ითვლება მონაწილე აქციებად. ერთ აქციაზე შემოსავალი ანგარიშდება ბანკის მფლობელობისთვის მიკუთვნებული მოგება-ზარალის გაყოფით წლის განმავლობაში არსებულ მონაწილე აქციების შეწონილ საშუალო რაოდენობაზე.

4. შესადრისი მონაცემების რეკლასიფიკაცია

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2017 წლისთვის:

- 2017 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოიმუშავა შემოსავალი დარიცხული და გადახდილი ჯარიმებიდან რომელიც კლასიფიცირებული იყო როგორც საპროცენტო შემოსავალი 114,557 ლარის ოდენობით. მენეჯმენტმა 2018 წლის განმავლობაში მოახდინა აღნიშნული ჯარიმების კლასიფიცირება როგორც სხვა საოპერაციო შემოსავალი.

შესადარებელი მონაცემების გადაანგარიშების ეფექტი მოცემულია ქვემოთ:

	წინა პერიოდში გამოცხადებული	**რეკლასიფიკაცია**	**31 დეკემბერი 2017**
	ლარი		
საპროცენტო შემოსავალი	1,141,118	(114,557)	1,026,561
საპროცენტო ხარჯი	(20,460)	-	(20,460)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**1,120,658**	**(114,557)**	**1,006,101**
სესხების გაუფასურების ანარიცხი	114,342	-	114,342
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების გაუფასურების ანარიცხის შემდეგ	**1,235,000**	**(114,557)**	**1,120,443**
წმინდა საკომისიო შემოსავალები	42,722	-	42,722
სხვა საოპერაციო ხარჯები	(648,244)	-	(648,244)
წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(196,901)	-	(196,901)
სხვა არა საოპერაციო შემოსავალი	27,930	114,557	142,487
მოგება დაბეგვრამდე	**460,507**	**-**	**460,507**
მოგების გადასახადის ხარჯი	(53,291)	-	(53,291)
წლის მოგება	**407,216**	**-**	**407,216**
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
სხვა სრული შემოსავლები წლის განმავლობაში	**407,216**	**-**	**407,216**

5. საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები

	2018	**2017**
	ლარი	**ლარი**
საპროცენტო შემოსავლები		
საპროცენტო შემოსავალი ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან	931,209	1,017,727
საპროცენტო შემოსავალი რეზიდენტ ბანკში განთავსებული ანგარიშებიდან	7,030	8,834
სულ საპროცენტო შემოსავლები	**938,239**	**1,026,561**
საპროცენტო ხარჯები		
საპროცენტო ხარჯი ფიზიკური პირებისგან მიღებულ სესხებზე	(15,969)	(20,460)
სულ საპროცენტო ხარჯები	**(15,969)**	**(20,460)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**922,270**	**1,006,101**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პროცენტი საპროცენტო შემოსავალი ერიცხება სამ სხვადასხვა დეპოზიტს და მიმდინარე ანგადიშს.

სს "ბაზის" ბანკის დეპოზიტზე ეროვნულ ვალუტაში ერიცხება წლიური 5%-იანი სარგებელი დღის ბოლოს არსებულ ნაშთზე და წლის განმავლობაში საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 597 ლარს (2017: 942 ლარი); უცხოურ ვალუტაში ერიცხება 3%-იანი სარგებელი დღის ბოლოს არსებულ ნაშთზე და წლის განმავლობაში საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 760 ლარს (2017:891 ლარი);

სს "ბაზის" ბანკის მიმდინარე ანგარიშზე რომელიც განთავსებულია ეროვნულ ვალუტაში წლის განმავლობაში დარიცხულია 2,021 ლარის ოდენობის საპროცენტო შემოსავალი (2017: 1,422 ლარი) ხოლო მიმდინარე ანგარიშზე რომელიც განთავსებულია დოლარის ანგარიშზე - 910 ლარის ოდენობის საპროცენტო შემოსავალი (2017: 831 ლარი).

ზემოაღნიშნული მიმდინარე ანგარიშის ხელშეკრულებაში არ არის დაზუსტებული წლიური საპროცენტო განაკვეთი, რადგან ბანკს გააჩნია საპროცენტო განაკვეთის შეცვლის ცალმხრივი უფლება;

სს "პროკრედიტ" ბანკს დეპოზიტზე ეროვნულ ვალუტაში ერიცხება წლიური 2,5%-იანი სარგებელი დღის ბოლოს არსებულ ნაშთზე და წლის განმავლობაში საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 446 ლარს (2017:353 ლარი);

სს "თი ბი სი" ბანკს დეპოზიტზე ეროვნულ ვალუტაში ერიცხება წლიური 2%-იანი სარგებელი დღის ბოლოს არსებულ ნაშთძე და წლის განმავლობაში საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 2,018 ლარს (2017:3,346 ლარი);

სს „თი ბი სი“ ბანკში უცხოურ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტს ერიცხება 1%-იანი სარგებელი დღის ბოლოს არსებულ ნაშთზე და წლის განმავლობაში საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 278 ლარს (1,048 ლარი);

პერიოდის განმავლობაში მიღებულმა პროცენტებმა შეადგინა 1,385,585 ლარი (2017: 1,006,910 ლარი)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხებიდან დარიცხულმა და გადახდილმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 15,969 ლარი (2017:20,460 ლარი).

6. წმინდა საკომისიო შემოსავლები

	2018	2017
	ლარი	ლარი
საკომისიო შემოსავლები		
საკომისიო შემოსავლები	82,023	62,154
სულ საკომისიო შემოსავლები	**82,023**	**62,154**
საკომისიო ხარჯები		
საკომისიო ხარჯები	(36,468)	(19,432)
სულ საკომისიო ხარჯები	**(36,468)**	**(19,432)**
წმინდა საკომისიო შემოსავალი	**45,555**	**42,722**

კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს სესხის გაცემის საკომისიო, რომლის ოდენობაც განსაზღვრულია ხელშეკრულებით, საკომისიო შემოსავალი მოიცავს სესხის გაცემის ადმინისტრაციული გადასახადს, რომელიც გამოიანგარიშება ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტისა და პრინციპების შესაბამისად და მიიღება სესხის გაცემის დროს.

საკომისიო ხარჯი მოიცავს საკომუნიკაციო მომსახურების ხარჯებს, როგორიც არის ინტერნეტი, ტელეფონი და პროგრამული უზრუნველყოფა.

7. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2018	2017
	ლარი	ლარი
თანამშრომელთა სახელფასო ხარჯი	480,000	470,473
საოფისე იჯარა	24,000	24,000
ცვეთა და ამორტიზაცია	17,429	29,570
პროფესიული მომსახურება	11,800	13,888
სხვა საოპერაციო ხარჯები	23,683	110,312
სულ საოპერაციო ხარჯები	**556,912**	**648,244**

თანამშრომელთა სახელფასო ხარჯი მოიცავს ბონუსს 120,000 ლარის ოდენობით (2017: 112,900 ლარი)

პროფესიული მომსახურება მოიცავს აუდიტის ღირებულებას 11,800 ლარის ოდენობით (2017:11,800 ლარი)

8. წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	გაცემული სესხები	სხვა აქტივები	სხვა ვალდებულებები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	55,536	178,182	12,461	1,012	247,191
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(78,382)	(251,483)	(17,588)	(717)	(348,130)
სულ წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	**(22,846)**	**(73,301)**	**(5,127)**	**295**	**(100,979)**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	გაცემული სესხები	სხვა აქტივები	სხვა ვალდებულებები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	161,170	725,856	170,967	(5,596)	1,052,397
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(191,325)	(861,662)	(202,954)	6,643	(1,249,298)
სულ წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	**(30,155)**	**(135,806)**	**(31,987)**	**1,047**	**(196,901)**

9. სხვა საოპერაციო შემოსავალი

მისოს მიერ 2018 წლის განამვლობაში გამომუშავებული სხვა საოპერაციო შემოსავალი მოიცავს ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე დარიცხულ ჯარიმებს 113,906 ლარის ოდენობით (2017: 114,557 ლარი). მისოს მიერ დარიცხული ჯარიმა სრულად იქნა მიღებული პერიოდის განმავლობაში

10. მოგების გადასახადის ხარჯი

	2018	2017
	ლარი	ლარი
მიმდინარე მოგების გადასახადი	(33,021)	(52,406)
გადავადებული მოგების გადასახადის (ხარჯი)/შემოსავალი (იხ. შენიშვნა 16)	6,885	(885)
სულ მოგების გადასახადი	**(26,136)**	**(53,291)**

მოგების გადასახადი არის წლიური მოგების 15%.

საგადასახადო ხარჯის შეჯერება	2018	2017
	ლარი	ლარი
წლის სააღრიცხვო მოგება დაბეგვრამდე	312,584	460,507
კორპორაციის გადასახადის დანარიცხი 15% განაკვეთით	46,888	69,076
კორექტირებები:		
მუდმივი სხვაობა	(20,752)	(15,785)
წლის მოგების გადასახადის ხარჯი	**26,136**	**53,291**
ეფექტური საგადასახადო განაკვეთი	8%	12%

11. ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერული ტექნიკა	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება					
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**78,768**	**11,139**	**6,446**	**23,415**	**119,768**
შეძენა	1,096	-	387	-	1,483
შიდა მოძრაობა	-	(862)	1,031	(169)	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**79,864**	**10,277**	**7,864**	**23,246**	**121,251**
შეძენა	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**79,864**	**10,277**	**7,864**	**23,246**	**121,251**
ცვეთა და გაუფასურება					
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**51,353**	**8,439**	**3,800**	**12,310**	**75,902**
ცვეთა წლის მანძილზე	5,956	443	13	3,932	10,344
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**57,309**	**8,882**	**3,813**	**16,242**	**86,246**
ცვეთა წლის მანძილზე	4,512	354	1,045	652	6,563
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**61,821**	**9,236**	**4,858**	**16,894**	**92,809**
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**27,415**	**2,700**	**2,646**	**11,105**	**43,866**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**22,555**	**1,395**	**4,051**	**7,004**	**35,005**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**18,042**	**1,040**	**3,006**	**6,352**	**28,441**

12. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობა-ნაგებობები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
ღირებულება			
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**52,541**	**310,833**	**363,374**
შეძენა	-	86,465	86,465
შიდა მოძრაობა	-	(54,874)	(54,874)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**52,541**	**342,424**	**394,965**
შეძენა	-	-	-
გაყიდვა	-	(14,917)	(14,917)
გაუფასურება	-	(18,365)	(18,365)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**52,541**	**309,141**	**361,682**
ცვეთა და გაუფასურება			
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით			
ცვეთა წლის მანძილზე	**-**	**60,863**	**60,863**
გაყიდვა	-	14,082	14,082
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-
ცვეთა წლის მანძილზე	**-**	**74,945**	**74,945**
გაყიდვა	-	1,932	1,932
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	**-**	**76,877**	**76,877**
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**52,541**	**249,970**	**302,511**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**52,541**	**267,479**	**320,020**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**52,541**	**232,265**	**284,806**

მენეჯმენტის შიდა შეფასებით საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შემდეგნაირად:

მიწის ნაკვეთები: 64,100 ლარი;

ბინა ყავლაშვილის მესამე ჩიხში - 42,140 ლარი.

საცხოვრებელი სახლი სოფელ ნაოზაში - 44, 574 ლარი.

საცხოვრებელი სახლი დაბა კოჯორში - 107,309 ლარი.

ბინა ნუცუბიძეზე - 99,054 ლარი.

ბინა მცხეთაში - 116,690 ლარი.

ბინა რუსთავში - 31,152 ლარი.

ბინა ვარკეთილში - 81,093 ლარი.

13. არამატერიალური აქტივი

	კომპიუტერული პროგრამები	სულ
	, ლარი	ლარი
ღირებულება		
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**85,396**	**85,396**
შეძენა	-	-
გაყიდვა	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**85,396**	**85,396**
შეძენა	30,453	30,453
გაყიდვა	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**115,849**	**115,849**
ცვეთა და გაუფასურება		
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(51,097)**	**(51,097)**
ცვეთა წლის მანძილზე	(5,145)	(5,145)
გაყიდვა	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(56,242)**	**(56,242)**
ცვეთა წლის მანძილზე	(8,934)	(8,934)
გაყიდვა	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(65,176)**	**(65,176)**
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**34,299**	**34,299**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**29,154**	**29,154**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**50,673**	**50,673**

მისოს არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამის ,,ალტას” და ანტივირუსული პროგრამის ლიცენზიებს.

14. გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
	ლარი	ლარი
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	3,883,256	3,778,635
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - არაუზრუნველყოფილი სესხები	81,999	122,875
მინუს: სესხების გაუფასურების ანარიცხი	(367,874)	(401,917)
სულ გაცემული სესხები	**3,597,382**	**3,499,593**

გაცემული სესხების კატეგორიების ანალიზი მოცემული ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
	ლარი	ლარი
კატეგორია 1 -ვაჭრობა და მომსახურება	191,062	285,392
კატეგორია 2 - სამომხმარებლო	459,386	6,769
კატეგორია 7 - უძრავი ქონების შეძენა	420,278	265,275
კატეგორია 8 - რეფინანსირება	2,141,272	1,839,036
კატეგორია 9 - პირადი ხარჯები	62,387	145,254
კატეგორია 10 - სხვა	690,870	1,359,783
სულ გაცემული სესხები	**3,965,256**	**3,901,510**
მინუს: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(367,874)	(401,917)
წმინდა სესხები	**3,597,382**	**3,499,592**

ქვემოთ ცხრილში მოცემულია სესხების რეზერვის გაუფასურების მოძრაობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ეტაპი 1 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით არა-გაუფასურებული	ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ 2018	სულ 2017
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	
ნაშთი წლის დასაწყისში ბასს 39-ის შესაბამისად	**-**	**-**	**-**	**401,917**	**516,259**
ფასს 9-ის დანერგვით გამოწვეული ცვლილება	**-**	**-**	**-**	**96,107**	**-**
ნაშთი წლის დასაწყისში	**14,453**	**39,570**	**444,002**	**498,024**	**516,259**
წლის განმავლობაში სესხების ანარიცხის ცვლილება	22,113	121,476	32,350	**175,939**	**(114,341)**
გატადანა 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალში	20,597	(9,663)	(10,933)	-	-
გადატანა ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული რეზერვში	(2,364)	3,670	(1,306)	-	-
ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ახალი ხესხების გადატანა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებულ რეზერვში	(146)	-	146	-	-
ჩამოწერილი და დაფარული სესხები წლის განმავლობაში	(22,304)	83,151	(366,937)	**(306,090)**	**-**
ნაშთი წლის ბოლოს	**32,349**	**238,204**	**97,321**	**367,874**	**401,917**

მომხმარებელზე გაცემული სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	ეტაპი 1 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით არა-გაუფასურებული	ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი წლის დასაწყისში	**3,332,703**	**107,709**	**461,098**	**3,901,510**
წლის განმავლობაში სესხების ანარიცხის ცვლილება	2,185,592	352,125	155,654	**2,693,371**
გატადანა 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალში	20,597	(9,663)	(10,933)	**-**
გადატანა ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული რეზერვში	(2,364)	3,670	(1,306)	**-**
ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ახალი ხესხების გადატანა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებულ რეზერვში	(146)	-	146	**-**
ჩამოწერილი და დაფარული სესხები წლის განმავლობაში	(2,366,876)	207,918	(470,667)	**(2,629,625)**
ნაშთი წლის ბოლოს	**3,169,506**	**661,759**	**133,992**	**3,965,256**

კურსთაშორის სხვაობის გავლენა გაცემულ სესხებზე იხილეთ შენიშვნა 7-ში.

მომხმარებელზე გაცემული სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	**არა უზრუნველყოფილი სესხები**	**სულ**
მიმდინარე და არაგაუფასურებული			
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - ახალი კლიენტები	1,556,950	24,415	**1,581,365**
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - 1 წელზე მეტი საკრედიტო ისტორიით	1,251,964	67,430	**1,319,394**
სულ მიმდინარე და არაგაუფასურებული	**2,808,914**	**91,845**	**2,900,759**
ვადაგადაცილებული და არაგაუფასურებული			
30 დღემდე ვადაგადაცილებული	128,143	-	**128,143**
30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული	128,215	-	**128,215**
60-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	98,716	-	**98,716**
90-დან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	194,076	9,715	**203,790**
180-დან 360 დღემდე ვადაგადაცილებული	14,982	-	**14,982**
სულ ვადაგადაცილებული და არაგაუფასურებული	**564,132**	**9,715**	**573,847**
ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები	426,904	**-**	**426,904**
სულ ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები	**426,904**	**-**	**426,904**
სესხების საბალანსო ღირებულება	**3,799,950**	**101,560**	**3,901,510**
მინუს გაუფასურების ანარიცხები	(395,564)	(6,353)	**(401,917)**
სულ გაცემული სესხები	**3,404,386**	**95,207**	**3,499,593**

15. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	**31 დეკემბერი 2017**
	ლარი	ლარი
ფული სალაროში	28,754	36,361
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	276,076	685,733
სულ ფული და ფულსულ ფული და ფულის ექვივალენტები	**304,830**	**722,095**

მისოს ფულადი სახსრები განთავსებული აქვს დეპოზიტებსა და მიმდინარე ანგარიშებზე რომლებსაც ერიცხებათ საპროცენტო განაკვეთი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე ანგარიშზე ნაშთი იყო 476 ლარი და დეპოზიტზე 200,825 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოსავალმა დეპოზიტებიდან და მიმდინარე ანგარიშიდან შეადგინა 7,030 ლარი (2017: 8,833) (იხილეთ მე-3 განმარტებით შენიშვნაში).

ფულის და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

კურსთაშორის სხვაობის ცვლილება ფულსა და ფულის ექვივალენტებზე იხილეთ შენიშვნა 7-ში.

16. სააქციო კაპიტალი

2009 წლის 2 ოქტომბერს სს „პირველი ბრიტანული კომპანიის“ ფუნქციონირების შეწყვეტის შედეგად შეიქმნა მისო „ჯი აი სი“. მისოს სააქციო კაპიტალად განისაზღვრა 2,465,100 ლარის ღირებულების 24,651 ცალი ჩვეულებრივი აქცია საემისიო კაპიტალით 676,818 ლარის ოდენობით, რომელიც მასზე მიკუთვნებულ იქნა სს „პირველი ბრიტანული კომპანიის“ ფუნქციონირების შეწყვეტამდე არსებული კაპიტალიდან. 2015 წლის 1 იანვრამდე ასევე მოხდა დამატებით 320 აქციის ემისია 32,000 ლარის ნომინალური ღირებულებით რამაც ჯამში შეადგინა 24,971 აქცია ნომინალური ღირებულებით 2,497,100 ლარი.

აქციების რაოდენობების ცვლილება წლების მიხედვით არის შემდები:

დასახელება	გამოშვებული აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი აქციები	ნომინალური ღირებულება	სულ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24,971	24,971	100	24,971
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24,971	24,971	100	24,971

2018 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქციების რაოდენობის ცვლილება არ მომხდარა.

პერიოდის განმავლობაში მისომ გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 528,133 ლარის ოდენობით (2017:928,539 ლარი)

17. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება 5 ფიზიკური პირებისგან მიღებული შემდეგი სახსრებისგან:

	საწყისი თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	პროცენტის გადახდა	ძირის დაფარვა	თანხა
ფიზ.პირ. 1	7/31/2015	7/31/2020	12%	ლარი	ყოველი თვის ბოლო	ხელშეკრ. განსაზღვ. ვადაში	15,000
ფიზ.პირ. 2	12/1/2015	12/1/2020	12%	ლარი	ყოველი თვის ბოლო	ხელშეკრ. განსაზღვ. ვადაში	11,000
ფიზ.პირ. 3	1/13/2017	1/13/2020	12%	ლარი	ყოველი თვის ბოლო	ხელშეკრ. განსაზღვ. ვადაში	21,750
ფიზ.პირ. 4	1/13/2017	1/13/2020	12%	ლარი	ყოველი თვის ბოლო	ხელშეკრ. განსაზღვ. ვადაში	47,500
ფიზ.პირ. 5	11/18/2015	11/18/2020	12%	ლარი	ყოველი თვის ბოლო	ხელშეკრ. განსაზღვ. ვადაში	1,000

სულ გრძელვადიანი მიღებული სესხი	**96,250**
გადასახდელი ძირი	96,250
გადასახდელი პროცენტი	-
სულ მიღებული სესხი	**96,250**

ხელშეკრულების თანახმად ვადის ამოწურვამდე სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება თანხის სრულ დაფარვამდე. პერიოდის განმავლობაში მისოს მიერ მიღებული სესხები არ არის უზრუნველყოფილი.

მისომ მიიღო სესხი ფიზიკური პირებისგან, 2018 წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტები 15,969 ლარის ოდენობით სრულად არის გადახდილი პერიოდის ბოლოსთვის

მიღებული სესხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საწყისი თარიღი	**დასრულების თარიღი**	**საპროცენტო განაკვეთი**	**ვალუტა**	**პროცენტის გადახდა**	**ძირის დაფარვა**	**თანხა**
ფიზ.პირ. 1	7/31/2015	7/31/2018	12%	ლარი	ყოველი თვის ბოლო	ხელშეკრ. განსაზღვ. ვადაში	13,400
ფიზ.პირ. 2	12/1/2016	12/1/2018	12%	ლარი	ყოველი თვის ბოლო	ხელშეკრ. განსაზღვ. ვადაში	40,740
ფიზ.პირ. 3	1/13/2017	1/13/2020	12%	ლარი	ყოველი თვის ბოლო	ხელშეკრ. განსაზღვ. ვადაში	27,800
ფიზ.პირ. 4	1/13/2017	1/13/2020	12%	ლარი	ყოველი თვის ბოლო	ხელშეკრ. განსაზღვ. ვადაში	60,000
ფიზ.პირ. 5	11/18/2015	11/18/2018	12%	ლარი	ყოველი თვის ბოლო	ხელშეკრ. განსაზღვ. ვადაში	11,000
სულ გრძელვ. მიღებული სესხი							**152,940**
გადასახდელი ძირი							152,940
გადასახდელი პროცენტი							-
სულ გრძელვ. მიღებული სესხი							**152,940**

2017 წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტები 20,460 ლარის ოდენობით სრულად არის გადახდილი პერიოდის ბოლოსთვის.

18. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

მისო მომავალში გადაიხდის საიჯარო გადასახადს შეუქცევად საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებით, შემდეგი მინიმალური ოდენობით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
	ლარი	ლარი
ერთი წლის ვადაში	24,000	24,000
ერთ წელზე მეტი, მაგრამ ხუთი წლის ვადაში	120,000	120,000
სულ:	**144,000**	**144,000**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისოს ჰქონდა ერთი აქტიური იჯარის ხელშეკრულება საოფისე ფართზე, თბილისი, ფალიაშვილის გამზ. 96.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია მისოს დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთ ხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების მისოსგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

19. გადავადებული მოგების გადასახადი

	31 დეკემბერი 2018	31დეკემბერი 2017
	ლარი	**ლარი**
გადავადებული საგადასახადო აქტივი	8,654	1,769
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	-	-
წმინდა ბალანსი	**8,654**	**1,769**

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები (იხ. შენიშვნა 8), რომელიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან.

ქვემოთ მოცემული ცხრილები, თითოეული ტიპის დროებით სხვაობასთან მიმართებაში, ასახავენ გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებას პერიოდის განმავლობაში.

გადავადებული საგადასახადო აქტივი	**სხვა სრული შემოსავალი**	**მოგება ან ზარალი**	**სულ**
2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	**-**	**2,654**	**2,654**
მიღებული სესხები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	(885)	(885)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**1,769**	**1,769**
მიღებული სესხები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	6,885	6,885
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**8,654**	**8,654**

20. სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	**31 დეკემბერი 2017**
	ლარი	ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	45,903	29,230
სულ სხვა ვალდებულებები	**45,903**	**29,230**

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს სესხს 34,103 ლარის ოდენობით (2017: 17,430 ლარი), რომელიც გაიცა პერიოდის განმავლობაში და არ განხორციელებულა მსესხებლისთვის თანხის გადარიცხა პერიოდის ბოლო თარიღისთვის.
საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ ყოფილა მატერიალური სხვაობა სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

კურსთაშორის სხვაობის ეფექტი სავაჭრო ვალდებულებებზე იხილეთ შენიშვნა 7-ში.

21. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი 2018	**31 დეკემბერი 2017**
	ლარი	**ლარი**
წინასწარ გადახდილი გადასახადები	16,805	39,752
წინასწარ გადახდილი ხარჯები	365	22,377
სულ სხვა აქტივები	**17,170**	**62,129**

სხვა აქტივებს აქვს უცხოური ვალუტის ეფექტი, იხილეთ შენიშვნა 6.

22. ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, მისო ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს მისოსთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ მისოს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, მისო ექვემდებარება საბაზრო რისკის სამ კომპონენტს:
    - საპროცენტო რისკი
    - სავალუტო რისკი
    - ფასიანი ქაღალდების რისკი

მისოს ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს მისოს საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2018	**31 დეკემბერი 2017**
	ლარი	ლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	304,830	722,095
გაცემული სესხები	3,597,382	3,499,593
სულ ფინანსური აქტივები	**3,902,212**	**4,221,688**
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	96,250	152,940
სავაჭრო ვალდებულებები	45,903	29,230
სულ ფინანსური ვალდებულებები	**142,153**	**182,170**

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვნებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს სამართლიანი ღირებულების წარმოდგენილი 1-დან 3-მდე იერარქიის დონის მიხედვით:

	2018			
	სამართლიანი ღირებულებები საანგარიშო პერიოდის ბოლოს:			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	304,830	-	-	**304,830**
გაცემული სესხები	-	-	3,597,382	**3,597,382**
სულ ფინანსური აქტივები	**304,830**	**-**	**3,597,382**	**3,902,212**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	-	96,250	96,250
სხვა ვალდებულებები	-	-	45,903	45,903
სულ ფინანსური ვალდებულებები	**-**	**-**	**142,153**	**142,153**

	2017			
	სამართლიანი ღირებულებები საანგარიშო პერიოდის ბოლოს:			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	722,095	-	-	**722,095**
გაცემული სესხები			3,499,593	**3,499,593**
სულ ფინანსური აქტივები	**722,095**	**-**	**3,499,593**	**4,221,688**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	-	152,940	**152,940**
სხვა ვალდებულებები	-	-	29,230	**29,230**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**-**	**-**	**182,170**	**182,170**

საკრედიტო რისკი

მისო ახორციელებს საკრედიტო რისკის კატეგორიების გამოყოფას იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც განისაზღვრება საკრედიტო შეფასების გზით. საკრედიტო რისკის კატეგორია განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, რაც არის რისკ ფაქტორების ინდიკატორი. აღნიშნული ფაქტორები იცვლება გამოვლენილი რისკის სახეობებიდან გამომდინარე. ნებისმიერი რისკის გამოვლენა ხდება საწყის ეტაპზე მსესხებლზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის დამუშავების გზით. რისკების გამოვლენა, რასაც შესაძლოა მოჰყვეს სხვადასხვა სახის საკრედიტო რისკი, ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს.

გასაცემი სესხის კატეგორიები განისაზრვრება სესხის დანიშნულების მიხედვით

გასაცემი სესხის კატეგორიები:

კატეგორია 1 - ვაჭრობა და მომსახურება
კატეგორია 2 - სამომხმარებლო
კატეგორია 7 - უძრავი ქონების შეძენა
კატეგორია 8 - რეფინანსირება
კატეგორია 9 - პირადი ხარჯები
კატეგორია 10 - სხვა

კატეგორიები დავალიანების შემთხვევაში:

C1 1-30 დღიანი ვადაგადაცილება
C2 31-60 დღიანი ვადაგადაცილება
C3 61-90 დღიანი ვადაგადაცილება
D1 91-180 დღიანი ვადაგადაცილება
D2 >181

კატეგორიები დავალიანების არ არსებობის შემთხვევაში:

A - უზრუნველყოფილი სესხები
B - არაუზრუნველყოფილი სესხები
დეფოლტის კატეგორიას წარმოადგენს D2.

მისო აღიარებს დეფოლტს შემდეგ შემთხვევებში:

- *ვადაგადაცილებული სესხები, რომლებიც რესტრუქტურიზებულია >180 დღე*
- *კლიენტის გარდაცვალება;*
- *ფორს მაჟორი, როდესაც კლიენტი ხდება გადახდისუუნარო გარე ფაქტორების გამო, რომელიც არ ექვემდებარება კონტროლს*

დეფოლტის დეფინიცია შესაბამისობაშია რეგულაციებთან 90 დღიანი ვადაგადაცილების პრეზუმციასთან

ფასს 9-ის გათვალისწინებით.
დაკვირვების ქვეშ მყოფი სესხები წარმოდგენილია D1 კატეგორიაში.

იმ შემთხვევაში, თუ კატეგორიის სესხის გადახდა ხდება დროულად, მინიმუმ 6 თვის განმავლობაში ასეთი იცვლის კატეგორიას და გადადის შესაბამის კატეგორიაში რომელიც დგინდება ვადაგადაცილებული დღეებით.

მისო ახდენს პროგნოზთან დაკავშირებული ინფორმაციის გათვალისწინებას , როგორც იმის შეფასებისას, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა,ისე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშებისას.

მისო ახდენს საკრედიტო რისკების და საკრედიტო დანაკარგების მთავარი მაჩვენებლების იდენტიფიკაციასა და დოკუმენტირებას ისტორიული მონაცემების ანალიზის გამოყენებით, აფასებს მაკროეკონომიკური ცვლადების გავლენას დეფოლტის დადგომის შემთხვევაში და მისი აღდგენის მაჩვენებელს, ასევე,ქვემოთ მოყვანილი მაკრო-ეკონომიკური ცვლილებების ანალიზს.

- *სფი ინფლაცია*
- *მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი*
- *რეალური მშპ*

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც იქნა გამოყენებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2020 და 2021 წლებისთვის საქართველოში:

სფი ინფლაცია	**2019**	**2020**	**2021**
საბაზისო	2.9	3.0	3.0
ოპტიმისტური	3.4	3.2	3.0

პესიმისტური	4.5	4.0	3.0
მონეტარული			
საბაზისო	6.5	6.0	5.8
ოპტიმისტური	6.75	6.5	6.5
პესიმისტური	7.5	7.5	6.75
რეალური მშპ			
საბაზისო	5.0	5.0	5.0
ოპტიმისტური	6.0	5.5	5.0
პესიმისტური	2.0	2.5	3.5

მომხმარებელზე გაცემული სესხების გადანაწილება ეკონომიკურ სექტორის მიხედვით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2018		**31 დეკემბერი 2017**	
	ნაშთი	**%**	ნაშთი	**%**
	ლარი		ლარი	
ფიზიკური პირები				
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	3,883,256	98%	3,778,636	97%
საბლანკო სესხები	81,999	2%	122,874	3%
სულ გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	**3,965,256**	**100%**	**3,901,510**	**100%**

ქვემოთ მოცემული ცხრილები მოიცავს ინფორმაციას მომხმარებელზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

კატეგორია 1 - ვაჭრობა და მომსახურება

ანალიზი კატეგორიების მიხედვით	**სულ სესხები**	**ეტაპი 1 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი**	**ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით არა-გაუფასურებული**	**ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული**	**სულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი**	**წმინდა სესხები**	**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიანი სესხები%**
	ლარი	**ლარი**	**ლარი**	**ლარი**	**ლარი**	**ლარი**	
A	147,855	(1,479)	-	-	(1,479)	146,377	**1%**
B	9,328	(187)	-	-	(187)	9,141	**2%**
C1	33,272	**-**	(1,331)	-	(1,331)	31,941	**4%**
C2	**-**	**-**	-	-	-	-	**7%**
C3	**-**	**-**	-	-	-	-	**9%**
D1	**-**	**-**	-	-	-	-	**50%**
D2	608	**-**	-	(608)	(608)	-	**100%**
სულ	**191,062**	**(1,665)**	**(1,331)**	**(608)**	**(3,604)**	**187,459**	

კატეგორია 2 - სამომხმარებლო სესხები

ანალიზი კატეგორიების მიხედვით	სულ სესხები	ეტაპი 1 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით არა-გაუფასურებული	ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიანი სესხები%
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	
A	417,749	(4,177)	-	-	(4,177)	413,571	**1%**
B	-	-	-	-	-	-	**2%**
C1	41,637	-	(5,413)	-	(5,413)	36,225	**13%**
C2	-	-	-	-	-	-	**17%**
C3	-	-	-	-	-	-	**26%**
D1	-	-	-	-	-	-	**50%**
D2	-	-	-	-	-	-	**100%**
სულ	**459,386**	**(4,177)**	**(5,413)**	**-**	**(9,590)**	**449,796**	

კატეგორია 7 - უძრავი ქონების შეძენა

ანალიზი კატეგორიებ ს მიხედვით	სულ სესხები	ეტაპი 1 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელ ი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით არა-გაუფასურებუ ლი	ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელ ი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებულ ი	სულ მოსალოდნელ ი საკრედიტო ზარალი	წმინდა სესხები	მოსალოდნე ლი საკრედიტო ზარალი მთლიანი სესხები%
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	
A	418,437	(4,184)	-	-	(4,184)	414,253	**1%**
B	-	-	-	-	-	-	**2%**
C1	1,841	-	(41)	-	(41)	1,799	**2%**
C2	-	-	-	-	-	-	**2%**
C3	-	-	-	-	-	-	**7%**
D1	-	-	-	-	-	-	**50%**
D2	-	-	-	-	-	-	**100%**
სულ	**420,278**	**(4,184)**	**(41)**	**-**	**(4,226)**	**416,052**	

კატეგორია 8 - რეფინანსირება

ანალიზი კატეგორიების მიხედვით	სულ სესხები	ეტაპი 1 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით არა-გაუფასურებული	ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიანი სესხები %
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	
A	1,548,340	(15,483)	-	-	(15,483)	1,532,857	**1%**
B	38,236	(765)	-	-	(765)	37,471	**2%**
C1	220,715	-	(35,137)	-	(35,137)	185,578	**16%**
C2	101,475	-	(47,693)	-	(47,693)	53,782	**47%**
C3	153,055	-	(109,071)	-	(109,071)	43,984	**71%**
D1	64,699	-	-	(32,350)	(32,350)	32,350	**50%**
D2	14,752	-	-	(14,752)	(14,752)	-	**100%**
სულ	**2,141,272**	**(16,248)**	**(191,901)**	**(47,102)**	**(255,251)**	**1,886,022**	

კატეგორია 9 - პირადი ხარჯები

ანალიზი კატეგორიების მიხედვით	სულ სესხები	ეტაპი 1 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით არა-გაუფასურებული	ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიანი სესხები%
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	
A	34,865	(349)	-	-	(349)	34,517	**1%**
B	7,178	(161)	-	-	(161)	7,017	**2%**
C1	-	-	-	-	-	-	**8%**
C2	5,386	-	(646)	-	(646)	4,740	**12%**
C3	6,316	-	(1,623)	-	(1,623)	4,692	**26%**
D1	8,642	-	-	(4,321)	(4,321)	4,321	**50%**
D2	-	-	-	-	-	-	**100%**
სულ	**62,387**	**(510)**	**(2,269)**	**(4,321)**	**(7,100)**	**55,287**	

კატოგირია 10 - სხვა

ანალიზი კატეგორიებ ს მიხედვით	სულ სესხები	ეტაპი 1 12 თვიანი მოსალოდნე ლი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელ ი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით არა-გაუფასურებუ ლი	ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელ ი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებუ ლი	სულ მოსალოდნე ლი საკრედიტო ზარალი	წმინდა სესხები	მოსალოდნე ლი საკრედიტო ზარალი მთლიანი სესხები%
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	
A	536,894	(5,369)	-	-	(5,369)	531,525	**1%**
B	10,624	(212)	-	-	(212)	10,412	**2%**
C1	14,249	-	(2,341)	-	(2,341)	11,909	**16%**
C2	30,803	-	(12,013)	-	(12,013)	18,790	**39%**
C3	53,010	-	(22,895)	-	(22,895)	30,115	**43%**
D1	-	-	-	-	-	-	**50%**
D2	45,290	-	-	(45,290)	(45,290)	-	**100%**
სულ	**690,870**	**(5,564)**	**(37,249)**	**(45,290)**	**(88,103)**	**602,767**	

ქვემოთ მოცემული ცხრილები მოიცავს ინფორმაციას მომხმარებელზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით:

კატეგორია 1 - ვაჭრობა და მომსახურება

ანალიზი კატეგორიების მიხედვით	სულ სესხები	ეტაპი 1 12 თვიანი მოსალოდ ნელი საკრედიტ ო ზარალი	ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით არა-გაუფასურებული	ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ მოსალოდ ნელი საკრედიტ ო ზარალი	წმინდა სესხები	მოსალო დნელი საკრედი ტო ზარალი მთლიანი სესხები%
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	
A	182,082	(974)	-	-	(974)	181,108	**1%**
B	-	-	-	-	-	-	**2%**
C1	-	-	-	-	-	-	**4%**
C2	-	-	-	-	-	-	**7%**
C3	-	-	-	-	-	-	**9%**
D1	-	-	-	-	-	-	**50%**
D2	103,346						**100%**
სულ	**285,428**	**(974)**	**-**	**(103,346)**	**(104,320)**	**181,108**	

კატეგორია 2 - სამომხმარებლო სესხები

ანალიზი კატეგორიების მიხედვით	სულ სესხები	ეტაპი 1 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით არა-გაუფასურებული	ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიანი სესხები%
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	
A	6,767	-	-	-	-	6,767	**1%**
B	-	-	-	-	-	-	**2%**
C1	-	-	-	-	-	-	**13%**
C2	-	-	-	-	-	-	**17%**
C3	-	-	-	-	-	-	**26%**
D1	-	-	-	-	-	-	**50%**
D2	-	-	-	-	-	-	**100%**
სულ	**6,767**	**-**	**-**	**-**	**-**	**6,767**	

კატეგორია 7 - უძრავი ქონების შეძენა

ანალიზი კატეგორიების მიხედვით	სულ სესხები	ეტაპი 1 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით არა-გაუფასურებული	ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიანი სესხები%
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	
A	253,752	(1,464)	-	-	(1,464)	252,289	**1%**
B	-	-	-	-	-	-	**2%**
C1	-	-	-	-	-	-	**2%**
C2	-	-	-	-	-	-	**2%**
C3	-	-	-	-	-	-	**7%**
D1	11,516	-	-	(5,758)	(5,758)	5,758	**50%**
D2	-	-	-	-	-	-	**100%**
სულ	**265,268**	**(1,464)**	**-**	**(5,758)**	**(7,222)**	**258,047**	

კატეგორია 8 - რეფინანსირება

ანალიზი კატეგორიების მიხედვით	სულ სესხები	ეტაპი 1 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით არა-გაუფასურებული	ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიანი სესხები %
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	
A	1,446,353	(7,095)	-	-	(7,095)	1,439,258	**1%**
B	346,324	(390)	-	-	(390)	345,933	**2%**
C1	32,791	-	(5,220)	-	(5,220)	27,571	**16%**
C2	-	-	-	-	-	-	**47%**
C3	13,560	-	(9,663)	-	(9,663)	3,897	**71%**
D1	-	-	-	-	-	-	**50%**
D2	-	-	-	-	-	-	**100%**
სულ	**1,839,028**	**(7,485)**	**(14,884)**	-	**(22,369)**	**1,816,660**	

კატეგორია 9 - პირადი ხარჯები

ანალიზი კატეგორიების მიხედვით	სულ სესხები	ეტაპი 1 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით არა-გაუფასურებული	ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიანი სესხები%
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	
A	102,659	(229)	-	-	(229)	102,431	**1%**
B	27,734	(185)	-	-	(185)	27,549	**2%**
C1	5,138	-	(405)	-	(405)	4,733	**8%**
C2	-	-	-	-	-	-	**12%**
C3	-	-	-	-	-	-	**26%**
D1	9,715	-	-	(4,857)	(4,857)	4,857	**50%**
D2	-	-	-	-	-	-	**100%**
სულ	**145,246**	**(414)**	**(405)**	**(4,857)**	**(5,676)**	**139,570**	

კატეგირია 10 - სხვა

ანალიზი კატეგორიების მიხედვით	სულ სესხები	ეტაპი 1 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით არა-გაუფასურებული	ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიანი სესხები%
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	
A	861,314	(3,853)	-	-	(3,853)	857,461	**1%**
B	105,718	(263)	-	-	(263)	105,455	**2%**
C1	-	-	-	-	-	-	**16%**
C2	-	-	-	-	-	-	**39%**
C3	56,218	-	(24,281)	-	(24,281)	31,938	**43%**
D1	12,962	-	-	(6,481)	(6,481)	6,481	**50%**
D2	323,559	-	-	(323,559)	(323,559)	-	**100%**
სულ	**1,359,772**	**(4,117)**	**(24,281)**	**(330,040)**	**(358,438)**	**1,001,335**	

კომპანიის მიერ 2018 წლის 1 იანვრის გაუფასურების რეზერვის გადასათვლელად გამოყენებულ ინფორმაციაში გათვალისწინებული არ არის სესხები, რომლებიც 2018 წლის განმავლობაში დაიფარა გრაფიკის შესაბამისად

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, მისო აწარმოებს კლიენტის და მისოს ოპერაციებთან დაკავშირებული მომავალი მოსალოდნელი ფულადი სახსრების ყოველდღიურ მონიტორინგს, რაც არის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილი.

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	304,830	-	-	-	304,830
გაცემული სესხები	670,335	666,265	746,232	1,514,550	3,597,382
სულ ფინანსური აქტივები	**975,165**	**666,265**	**746,232**	**1,514,550**	**3,902,212**
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	-	96,250	-	-	**96,250**
სხვა ვალდებულებები	**45,903**	**-**	**-**	-	**45,903**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**45,903**	**96,250**	**-**	**-**	**142,153**
ლიკვიდურობის პოზიცია	**929,262**	**570,015**	**746,232**	**1,514,550**	**3,760,059**

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	722,095	-	-	-	**722,095**
გაცემული სესხები	553,829	1,081,845	742,304	1,121,615	**3,499,593**
სულ ფინანსური აქტივები	**1,275,924**	**1,081,845**	**742,304**	**1,121,615**	**4,221,688**
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	-	152,940	-	-	**152,940**
სხვა ვალდებულებები	29,230	-	-	-	29,230
სულ ფინანსური ვალდებულებები	**29,230**	**152,940**	**-**	**-**	**182,170**
ლიკვიდურობის პოზიცია	**1,246,694**	**928,905**	**742,304**	**1,121,615**	**4,039,518**

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, და გაცემული სესხები) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. მისოს არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განხორციელებას.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	გაცემული სესხები	სულ
ლარი	180,633	3,206,945	3,387,578
აშშ დოლარი	124,197	390,437	514,634
სულ	**304,830**	**3,597,382**	**3,902,212**

ფინანსური აქტივები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	გაცემული სესხები	სულ
ლარი	483,836	2,426,553	2,910,389
აშშ დოლარი	238,259	1,073,040	1,311,299
სულ	**722,095**	**3,499,593**	**4,221,688**

ფინანსური ვალდებულებები ვალუტის მიხედვით

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ვალდებულებები ვალუტების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2018	**31 დეკემბერი 2017**
ლარი	44,300	20,957
აშშ დოლარი	1,603	8,273
სულ	**45,903**	**29,230**

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შემცირების/გაზრდის ეფექტმა 2018 წლისათვის შეადგინა 514,464 ლარი (2017: 131,130 ლარი)

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ ორგანიზაციისთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო”).
ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:
(I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის; ან
(II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
(III) არის ანგარიშვალდებული ორგანიზაციის ან მისი სათავო ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.
ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:
(I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო ორგანიზაციის სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
(II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
(III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ ორგანიზაციის;
(IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;
(V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებულ ორგანიზაციისთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.
თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;
(VI) ამ ორგანიზაციის აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;
(VII) (ა) (ი) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული ორგანიზაციის (ან მისი სათავო ორგანიზაციის) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(VII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის სათავო ორგანიზაციისთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

მისოს აქციონერები წარმოდგენილია 1-ელ შენიშვნაში. მომდევნო ცხრილში ილუსტრირებულია არსებითი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც გახორციელდა პერიოდის განმავლობაში და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2018	2017
ტრანზაქციების მოცულობა	**ლარი**	**ლარი**
ტრანზაქციები:		
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	-	-
საბალანსო ნაშთები	**ლარი**	ლარი
ბალანსი:		
გაცემული სესხები	-	-
მიღებული სესხები	47,500	60,000

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება:

	2018	2017
ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება	**ლარი**	**ლარი**
ხელფასები და დანამატები	68,800	65,300

24. კაპიტალის მართვა

მისოს მიზანს კაპიტალის შენარჩუნებასთან დაკავშირებით წარმოადგენს უზრუნველყოს აქციონერები ადექვატური ფინანსური სახსრების მიღებით და საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

მისო შეესაბამება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 სექტემბერს და რომლის მიხედვითაც მისოს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრამდე განისაზღვრა 500,000 ლარით. მისო აკმაყოფილებს საკანონმდებლო მოთხოვნებს ქვემოთ ჩამოთვლილ კოეფიციენტებთან დაკავშირებით:

- კაპიტალის კოეფიციენტი
- ლიკვიდურობის კოეფიციენტი
- ინვესტიციების კოეფიციენტი
- ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი
- დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი
- სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი არასაბლანკო სესხებზე

ისევე როგორც აკმაყოფილებს მოთხოვნას ერთ მსესხებელზე გაცემული სესხების ჯამური ოდენობის შესახებ

25. შემოსავალი ერთ აქციაზე

დასახელება	**31 დეკემბერი 2018**	**31 დეკემბერი 2017**
მოგება / (ზარალი) წლის მანძილზე, რომელიც განკუთვნილია ჩვეულებრივი აქციონერებისათვის	285,562	407,216
მოგება / (ზარალი) წლის მანძილზე	285,562	407,216
გამოშვებული აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა (ათასი)	24,971	24,971
საბაზისო და გაზავებული შემოსავალი/(ზარალი) ერთ ჩვეულებრივ აქციაზე (ლარი ერთ აქციაზე)	**11.44**	**16.31**

26. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის განმავლობაში მენეჯმენტის მიერ გამოცხადებულმა დივიდენდმა შეადგინა 550,000 ლარი ხოლო გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 156,371 ლარი.

სს მისო „ჯი-აი-სი“-ს მმართველობის ანგარიშგება აუდიტორის წერილთან ერთად

თბილისი
2019 წ

შინაარსი

შესავალი …… 3

კომპანიის შესახებ …… 3

ფილიალები …… 4

განხორციელებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა …… 4

საქმიანობის მიმოხილვა ……...4

საქმიანობასთან დაკავშირებული რისკ ფაქტორების აღწერა …… 5

ფინანსური მაჩვენებლები …… 8

კომპანიის სამომავლო გეგმები …… 15

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია ისეთი ძირითადი საკითხები, როგორიცაა კომპანიის წარმოშობის ისტორიის, კომპანიის საქმიანობის, მისი განვლილ მიღწევებისა და მომავალში დასახული მიზნების აღწერა. დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ბოლო ხუთი (2014-2018) წლების დინამიკა, რაც საშუალებას იძლევა რიცხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით სამომავლო ოპტიმალური გეგმების შემუშავებისა.

კომპანიის შესახებ

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სს „ჯი-აი-სი“ (მისო) იურიდიულ პირად რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2009 წლის 2 ოქტომბრიდან.

სს მისო „ჯი-აი-სი“ შეიქმნა „2009 წლის 2 ოქტომბერს სს „პირველი ბრიტანული კომპანიის“ ფუნქციონირების შეწყვეტის შედეგად. მისო-ს კაპიტალი განისაზღვრა 2,465,100 ლარის ღირებულების 24,651 ცალი ჩვეულებრივი აქციით. 2015 წელს მოხდა დამატებით 320 აქციის ემისია 32,000 ლარის ნომინალური ღირებულებით, რამაც ჯამში შეადგინა 24,971 აქცია ნომინალური ღირებულებით 2,497,100 ლარი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დამფუძნებელ პარტნიორთა შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- ანასტასია თავხელიძე - 33%;
- ელისაბედ ამირეჯიბი - 33%;
- ალექსანდრე ამირეჯიბი - 34%.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისაგან:

- ნონა თორდია (თავმჯდომარე);
- პანტიკო თორდია (თავმჯდომარის მოადგილე);
- შალვა ამირეჯიბი(წევრი).

მისო-ში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული არის 12 თანამშრომელი.

მისო-ს სარეგისტრაციო მისამართია : საქართველო,თბილისი, ფალიაშვილის ქ. №96.

კომპანიის მიერ არ მომხდარა აქციების შეძენა ან გასხვისება.

ფილიალები

კომპანიას ფილიალები არ გააჩნია. საფინანსო ბაზრისა და ფინანსური მაჩვენებლების ანალიზის შედეგადად კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ახლო მომავალში ფილიალების გახსნა კომპანიისთვის იქნება არარენტაბილური.

განხორციელებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა

ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე მენეჯმენტის მიერ არ ხცება კვლევების განხორციელება. სტატისტიკური ინფორმაცია რომელსაც კომპანია იყენებს განვითარების გეგმებისა და მიმდინარე შედეგების ანალიზისათვის დაფუძნებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებზე.

საქმიანობის მიმოხილვა

სს მისო „ჯი-აი-სი“ წარმოადგენს კორპორაციულად ორგანიზებულ იურიდიულ პირს რომელიც საკუთარ საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, საკუთარი წესდებისა და შინაგანაწესის შესაბამისად. სს მისო „ჯი-აი-სი“ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით დაშვებული საქმიანობებიდან ახორციელებს მხოლოდ შემდეგი სახის ოპერაციებს:

1. სესხების გაცემა
2. სესხების მიღება
3. უცხოური ვალუტის ყიდვა და გაყიდვა როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით

საქართველოს კანონმდებლობისა და მისო-ს საქმიანობიდან გამომდინარე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2015 წლის 14 იანვარს და მტკიცებულ იქნა სს „ჯი-აი-სი“-ს განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც საშუალებას იძლევა ეფექტურად მართოს მისი საქმიანობა. გარდა იმ სტრუქტურული ქვედანაყოფებისა , რომელიც ილუსტრირებულია ქვემოთ, მისო-ში ასევე ფუნქციონირებს მუდმივმოქმედი საკრედიტო

კომიტეტი, რომლის დანიშნულებაა თითოეული სასესხო განაცხადის ანალიზი და მისი გასაცემად დამტკიცება. ქვემოთ მოყვანილია სს “ჯი-აი-სი“-ს ორგანიზაციული სტრუქტურა.



წინამდებარე დოკუმენტში ძირითადად აღწერილია მხოლოდ ჩამოთვლილი საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური მაჩვენებლები, ამ საქმიანობებთან დაკავშირებული რისკების ანალიზი და კომპანიის მომავალი გეგმების ხედვა.

საქმიანობასთან დაკავშირებული რისკ ფაქტორების აღწერა

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სს „ჯი-აი-სი“ განიხილავს რისკების ორ ძირითად კატეგორიას ფინანსურ და არაფინანსურ რისკებს. თითოეული კატეგორია ცალკეული რისკებისაგან შედგება. ფინანსურ რისკებს ძირითადად არეგულირებს კრედიტებისა და მოზიდული სახსრების მართვის დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს:

- სასესხო პორტფელის მართვას;

- მოზიდული სახსრების მართვას;
- ლიკვიდობის მართვას;
- სასესხო და მოზიდული სახსრების საპროცენტო განაკვეთების მართვას;
- ღია პოზიციების მართვას.

ფინანსური რისკებიდან გამოიყოფა:

საკრედიტო რისკები აქტიური ოპერაციების ძირითადი წილი საკრედიტო საქმიანობაზე მოდის. აქედან გამომდინარე საკრედიტო რისკის მართვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. საკრედიტო რისკის გაზრდა შეიძლება გამოწვეულ იქნას:

- კრედიტის არაკვალიფიციური გაცემით;
- მსესხებლის გადახდისუნარიანობის შემცირებით ან საერთოდ დეფოლტით;
- ქვეყანაში არსებული შესაძლო ინფლაციის გაზრდით;
- სხვა მაკროეკონომიური ფაქტორებით.

აღნიშნული რისკების შემცირების მიზნით კომპანიაში შემუშავებულია სპეციალური წესები კრედიტის გაცემის, მისი მონიტორინგისა და ამოღების კუთხით. 2018 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ ასევე დანერგა ფაას9, რითაც სტანდარტით წარადგინა ფინანსური აქტივების ახალი კლასიფიკაციისა და შეფასები მოდელები. კერძოდ:

ფინანსური აქტივი შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

კაპიტალის არასაკმარისობასთან დაკავშირებული რისკი

ეს რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც მისო-ს ბალანსს აქვს არადამაკმაყოფილებელი სტრუქტურა. სხვანაირად, კაპიტალი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მცირდება ისეთი გარემოებების გამო, როგორიცაა:

- ნასესხები სახსრების გადინება (იწვევს საპროცენტო მარჟასთან დაკავშირებული საპროცენტო შემოსავლების შემცირებას);
- იზრდება დაუბრუნებელი სესხების მოცულობა;
- მენეჯმენტის სხვადასხვა არაეფექტური გადაწყვეტილებები.

ამ რისკების მინიმიზაცია ხორციელდება ფინანსური აუდიტის, სამეთვალყურეო საბჭოსა და მუდმივმოქმედი აქტივ-პასივის კომიტეტის როგორც რეგლამენტირებული, ასევე ოპერატიული მონიტორინგით.

ლიკვიდობის რისკის მართვა

ამ რისკების მართვა კომპანიაში ხორციელდება ისეთი მაჩვენებლების ანალიზითა და მონიტორინგით, როგორიცაა მისო-ს წმინდა საპროცენტო შემოსავალი, წმინდა საპროცენტო მარჟა და სპრედი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომლის დროსაც, სამომავლო ფულადი ნაკადების ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება მერყეობს საბაზრო ფასების ცვლილების გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა რისკებს. კომპანიისთვის საბაზრო რისკი დგება საპროცენტო განაკვეთიდან გამომდინარე, რომლებიც თავს იჩენს როგორც ზოგად ასევე სპეციფიურ საბაზრო პირობებში და იცვლება უცხოური ვალუტის განაკვეთის დონის შესაბამისად.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი შესაძლებელია წარმოიშვას არა მარტო იმ შემთხვევაში, თუ ფული განთავსებულია სხვადასხვა ვალუტაში, არამედ განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც მისო-ს აქვს ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში. ამ რისკის მინიმიზაცია ხორციელდებოდა ვალუტის

დროული კონვერტაციით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მიერ „ლარიზაციის“ პროგრამის შესრულებისა და ამავე დროს ლიკვიდობის რისკის მართვის კუთხით, კომპანიამ დღეისათვის მოახდინა მიღებული სესხების მთლიანად გადაყვანა ლარში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უცხოური ვალუტის კონვერტაცია ნაღდი ანგარიშსწორებით ხორციელდება მხოლოდ ბანკის კლიენტებზე მათი დავალებისა და კურსის შეთანხმების საფუძველზე.

არაფინანსური რისკები

საოპერაციო რისკი ის ძირითადი არაფინანსური რისკია, რომელიც გულისხმობს იმ ალბათობას, რომ დანაკარგებს გამოიწვევს ან შინაგანი (არაადექვატური ან შეცდომითი შიდა პროცესები, მართვის ინფორმაციის სისტემები, ადამიანური ფაქტორი) ან გარეგანი მიზეზები. საოპერაციო რისკის განსაზღვრება ასევე მოიცავს საკანონმდებლო რეგულაციებთან დაკავშირებულ რისკს, რაშიც იგულისხმება ალბათობა იმისა რომ სახელმწიფოს, საზედამხედველო ან იურიდიული უწყებების მიერ ჯარიმების დაკისრება დანაკარგებს გამოიწვევს. არაფინანსური რისკებისგან დაცვის მიზნით მისო-ში სისტემატურად ხორციელდება შიდა კონტროლი მიმდინარე პროცესებზე. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ინფორმაციის დაცულობას, ინფორმაციის სისტემების განახლებას, პროგრამული უზრუნველყოფის განახლებას საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად.

ფინანსური მაჩვენებლები

დოკუმენტში წარმოგიდგენთ კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებს 2014-2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. დოკუმენტში მოყვანილია ისეთი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების აღწერა, როგორიცაა 2014-2018 წლებში სასეხო პორტფელის და მიღებული სესხების მოცულობა.

ქვემოთ წარმოდგენილია წლების განმავლობაში გაცემული სესხების მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება.


სასესხო პორტფელის მოცულობები წლების მიხედვით
2018
2017
2016
2015
2014
2018, 3597383
2017, 3499593
2016, 4076178
2015, 4697822
2014, 4029746
0
500000
1000000
1500000
2000000
2500000
3000000
3500000
4000000
4500000
5000000

უნდა აღინიშნოს, რომ სესხების მისო-ს ფუნქციონირების მთელი ისტორიის მანძილზე უზრუნველყოფილი სესხები წაროადგენდნენ სასესხო პორტელის უდიდეს ნაწილს. ამის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია 2017 და 2018 წლებში სასესხო პორტფელის უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი (საბლანკო) სესხების წილობრივი მაჩვენებლების ამსახველი დიაგრამები. თანხების მოცულობები აგროსილია.





ზემოთ მოყვანილ დიაგრამებში ნაჩვენებია სასესხო პორტფელის მოცულობები წლების მიხედვით 31 დეკემბრის მდგომარეობით. იმისათვის, რომ ნათელი იყოს სასესხო პორტფელის განახლების დინამიკა, ქვემოთ მოცემულია 2017 და 2018 წლებში გაცემული სესხების მოცულობები.



აღსანიშნავია, რომ 2018 წლის მე-4 კვარტლის მონაცემებით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზარზე მისო-ების ჯამური წმინდა სასესხო მოცულობა ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით ტოლია 1,029,723,825 ლარის (წყარო: www.nbg.gov.ge):



მოყვანილი ფინანსური მაჩვენებლების სწორად ანალიზისათვის ქვემოთ ნაჩვენებია წლების მიხედვით სასესხო პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები:

- 2014 წ. - 27.69%;
- 2015 წ. - 27.19% ;
- 2016 წ. - 27.03%;
- 2017 წ. - 26.63%;
- 2018 წ/ - 26.18%.

გაუნაწილებელი მოგება კორელირებს სესხების პორტფელთან, რაც თავის მხრივ კორელაციაშია მიღებულ სესხებთან. მოგებაზე ასევე ბუნებრივია მოქმედებს სასესხო პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი. ყველაფერი ამის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განხილული წლებისთვის ამ მაჩვენებლების ურთიერთდამოკიდებულება სტაბილურია და დიდ ვოლატირებას არ განიცდის; ეს უკანასკნელი კი მიუთითებს მენეჯმენტის სტაბილურ და ეფექტურ მართვაზე. ქვემო გრაფიკზე ნაჩვენებია მაჩვენებლებს შორის კორელაცია. ლურჯი ფერი ასახავს სასესხო პორტფელის მოცულობას, ნაცრისფერი გაუნაწილებელ მოგებას, ხოლო წითელი - მიღებული სესხების მოცულობას.



- სასესხო პორტფელის შემცირება გამოწვეულია საფინანსო სექტორში მზარდი კონკურენციით.
- აღსანიშნავია, რომ ამავე წლებშში ბიუჯეტში ჯამურად გადახდილია 1,216,795 ლარი.

კომპანიის სამომავლო გეგმები

ქვეყანაში საფინანსო სექტორში მაღალი კონკურენციიდან გამომდინარე მენეჯმენტი აქცენტს აკეთებს კომპანიის კონკურენტუნარიანი პოზიციის შენარჩუნებაზე და მის უფრო გაძლიერებაზე. ამ ამოცანის გადასაჭრელად მენეჯმენტს გადაწყვეტილი აქვს:

- შეამციროს სასესხო პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი. ეს შესაძლებელი იქნება სასესხო პორტფელის მოცულობის გაზრდის შემთხვევაში.
- შეამციროს მსესხებლების არასაპროცენტო ხარჯის წილი (სესხის გაცემის საკომისიო), რაც მოახდენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემცირებას.
- შეამციროს საჯარიმო სანქციები ვადაგადაცილებულ სესხებზე იმაზე მეტად, რაც განსაზღვრულია ეროვნული ბანკის შესაბამის დებულებებში;
- გააუმჯობესოს კლიენტურის მომსახურების დონე.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს კომპანიის საქმიანობა, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონიურად არის წარმოდგენილი და თანდართული შესაბამისი ილუსტრაციები.

ქვემოთ დანართის სახით წარმოგიდგენთ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილ აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

სს მისო „ჯი-აი-სი“-ს
დირექტორი დირექტორი ვახტანგ მაღრაძე _____

სს მისო „ჯი-აი-სი“-ს ბუღალტერი ცირა თურმანიძე _____

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯი აი სი"-ს (შემდგომში - „მისო") ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში მისოს ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯნვის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს მისოს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან, წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში მისოს ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- მისოში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს მისოს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ მისოს ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- მისოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 4 ივნისს.

ვახტანგ მაღრაძე
დირექტორი

ციური თურმანიძე
ბუღალტერი

RSM

RSM Georgia

85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T +995 (32) 255 88 99
F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯი აი სი"-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯი აი სი"-ს („მისო") თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება").

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს მისოს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს") შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"* ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) *„პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის"* ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად „სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიში მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა

Ltd. RSM Georgia is a member of the RSM network and trades as RSM. RSM is the trading name used by the members of the RSM network. Each member of the RSM network is an independent accounting and consulting firm which practices in its own right. The RSM network is not itself a separate legal entity in any jurisdiction.

Lead sponsors
European Business Awards

RSM

გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით მმართველობითი ანგარიშზე.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე რომელიც წარმოდგენილია აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად.. ზემოთხსენებული კანონის მიხედვით მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

- სუბიექტის განვითარების გეგმები;
- სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა;
- სუბიექტის ფილიალების საქმიანობა;
- სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ;
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ მოკლე ინფორმაცია;
- ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნების და პოლიტიკა;
- საჭიროების შემთხვევაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მყოფი სხვა ინფორმაცია

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობით ანგარიშთან („სხვა ინფორმაცია“) დაკავშირებით. ჩვენი როგორც აუდიტორების პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ:

- გავეცნოთ *სხვა ინფორმაციას* და შევაფასოთ რამდენად არსებითად თანმიმდევრულია *სხვა ინფორმაცია* 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლით წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და

- წარმოდგენილია თუ არა მმართველობით ანგარიშში ყველა ის ინფორმაცია რაც განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამსიად.

სხვა გარემოებათა აბზაცი

„ბუღალტური აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯი-აი-სი“-მ მოამზადა მმართველობითი ანგარიში, რომელიც წარმოდგენილია ამ ფინანსურ ანგარიშგებებთან ერთად. ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად არ გამოვლენილა არსებითი ცდომილება და მართველობითი ანგარიში მომზადებულია მენეჯმენტის მიერ და განხილულია აუდიტორის მიერ ამ აუდიტორული დასკვნის ზემოთ მოცემულ „აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით“ აბზაცის შესაბამისად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს მისოს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციის ფუნქციონირებადობასთან და

ანგარიშგების საფუძვლად ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან მისოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა მისოს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის

RSM

თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება მისო უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ ორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

4 ივნისი 2019

RSM Georgia

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

შპს "არ ეს ემ საქართველო"
RSM
202449207
RSM GEORGIA
GEORGIA

სს მისო „ჯი აი სი“
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება **2018** წლის **31** დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		2018	**2017**
	შენიშვნა	ლარი	ლარი
საპროცენტო შემოსავალი	5	938,239	1,026,561
საპროცენტო ხარჯი	5	(15,969)	(20,460)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**922,270**	**1,006,101**
სესხების გაუფასურების ანარიცხი	12,14	(148,517)	114,342
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების გაუფასურების ანარიცხის შემდეგ		**773,753**	**1,120,443**
წმინდა საკომისიო შემოსავალები	6	45,555	42,722
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(556,912)	(648,244)
წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	8	(100,979)	(196,901)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9	151,167	142,487
მოგება დაბეგვრამდე		**312,584**	**460,507**
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(26,136)	(53,291)
წლის მოგება		**286,448**	**407,216**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სხვა სრული შემოსავლები წლის განმავლობაში		**286,448**	**407,216**
შემოსავალი ერთ აქციაზე	21	11	16

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 4 ივნისს

ვახტანგ მაღრაძე — დირექტორი

ციური თურმანიძე — ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2018	2017
	შენიშვნა	ლარი	ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	28,441	35,005
საინვესტიციო ქონება	12	284,806	320,020
არამატერიალური აქტივები	13	50,673	29,154
გაცემული სესხები	14	3,597,382	3,499,593
ფული და ფულის ექვივალენტები	15	304,830	722,095
მოგების გადასახადის აქტივი	19	8,654	1,769
სხვა აქტივები	21	17,170	62,129
სულ აქტივები		**4,291,956**	**4,669,765**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	16	2,497,100	2,497,100
საემისიო კაპიტალი	16	676,818	676,818
გაუნაწილებელი მოგება	16	975,885	1,313,677
სულ კაპიტალი		**4,149,803**	**4,487,595**
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	17	96,250	152,940
სხვა ვალდებულებები	20	45,903	29,230
სულ ვალდებულებები		**142,153**	**182,170**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**4,291,956**	**4,669,765**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 4 ივნისს

ვახტანგ მაღრაძე — დირექტორი

ციური თურმანიძე — ბუღალტერი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება **2018** წლის **31** დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	კაპიტალი აქციებიდან	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
		ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისთვის	**16**	**2,497,100**	**676,818**	**1,835,000**	**5,008,918**
წლის მოგება		-	-	407,216	407,216
გადახდილი დივიდენდები		-	-	(928,539)	(928,539)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	**16**	**2,497,100**	**676,818**	**1,313,677**	**4,487,595**
ფასს 9-ის დანერგვით გამოწვეული ცვლილება (გადასახადის გამოკლებით)	**3**			(96,107)	(96,107)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის კორექტირების შემდეგ		-	-	**1,217,570**	**4,391,488**
წლის მოგება		-	-	286,448	286,448
გადახდილი დივიდენდები		-	-	(528,133)	(528,133)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**16**	**2,497,100**	**676,818**	**975,885**	**4,149,803**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 4 ივნისს

ვახტანგ მაღრაძე — დირექტორი

ციური თურმანიძე — ბუღალტერი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება **2018** წლის **31** დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		2018	**2017**
	შენიშვნა	ლარი	ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		312,584	460,507
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი (ფასს 9)	2	(96,107)	-
კორექტირებები:			
გაუფასურების ანარიცხი	12,14	148,517	(114,342)
ცვეთა და ამორტიზაცია	7	17,429	29,571
კურსთაშორის სხვაობის წმინდა ზარალი	8	100,979	196,901
საპროცენტო ხარჯი	5	15,969	20,460
საპროცენტო შემოსავალი	5	(938,293)	(1,026,561)
ფულ. ნაკ. საოპ. საქმ. საოპ. აქტ. და ვალდ. ცვლილებებამდე		**(438,868)**	**(433,465)**
საოპერაციო აქტივების (ზრდა)/კლება:			
მიღებული სესხები	17	(56,690)	(129,752)
გაცემული სესხები	14	(748,587)	534,477
სხვა აქტივები	21	32,947	(23,667)
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა/(კლება):			
სხვა ვალდებულებები	20	16,968	3,894
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		**(1,194,230)**	**(48,513)**
გადახდილი მოგების გადასახადი	10	(26,136)	(53,291)
მიღებული პროცენტები	5	1,385,585	1,006,910
გადახდილი პროცენტი	5	(15,969)	(20,460)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		**149,250**	**884,647**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	11	-	(1,483)
საინვესტიციო ქონების შეძენა	12	-	(86,465)
საინვესტიციო ქონების გაყიდვა	12	14,917	54,874
არამატერიალურ აქტივების შეძენა	13	(30,453)	-
საინვესტიციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		**(15,536)**	**(33,074)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი	16	(528,133)	(928,539)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		**(528,133)**	**(928,539)**
ფული და ფულის ექვივალენტები			
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულზე და ფულის ექვივალენტებზე	8	(22,846)	(30,155)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმ. ზრდა/(კლება)		**(417,265)**	**(107,121)**
1 იანვრის მდგომარეობით	15	**722,095**	**829,216**
31 დეკემბრის მდგომარეობით	15	**304,830**	**722,095**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 4 ივნისს

ვახტანგ მაღრაძე — დირექტორი

ციური თურმანიძე — ბუღალტერი

- სასესხო პორტფელის შემცირება გამოწვეულია საფინანსო სექტორში მზარდი კონკურენციით.
- აღსანიშნავია, რომ ამავე წლებშში ბიუჯეტში ჯამურად გადახდილია 1,216,795 ლარი.

კომპანიის სამომავლო გეგმები

ქვეყანაში საფინანსო სექტორში მაღალი კონკურენციიდან გამომდინარე მენეჯმენტი აქცენტს აკეთებს კომპანიის კონკურენტუნარიანი პოზიციის შენარჩუნებაზე და მის უფრო გაძლიერებაზე. ამ ამოცანის გადასაჭრელად მენეჯმენტს გადაწყვეტილი აქვს:

- შეამციროს სასესხო პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი. ეს შესაძლებელი იქნება სასესხო პორტფელის მოცულობის გაზრდის შემთხვევაში.
- შეამციროს მსესხებლების არასაპროცენტო ხარჯის წილი (სესხის გაცემის საკომისიო), რაც მოახდენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემცირებას.
- შეამციროს საჯარიმო სანქციები ვადაგადაცილებულ სესხებზე იმაზე მეტად, რაც განსაზღვრულია ეროვნული ბანკის შესაბამის დებულებებში;
- გააუმჯობესოს კლიენტურის მომსახურების დონე.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს კომპანიის საქმიანობა, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონიურად არის წარმოდგენილი და თანდართული შესაბამისი ილუსტრაციები.

ქვემოთ დანართის სახით წარმოგიდგენთ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილ აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

სს მისო „ჯი-აი-სი"-ს დირექტორი დირექტორი	ვახტანგ მაღრაძე	
სს მისო „ჯი-აი-სი"-ს ბუღალტერი	ცირა თურმანიძე	